ხელშეკრულება №10/05/16MEL

ქ. ახალციხე 10 მაისი 2016წ.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „მელიზა“ წარმომადგენელი მისი დირექტორის ხვიჩა ალავიძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“) და მეორეს მხრივ აიპ „ახალციხის მელიორაცია“ წარმომადგენელი მისი დირექტორის ჯემალი გიორგაძის სახით (შემდგომში „დამკვეთი“) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 დამკვეთი უკვეთავს, ხოლო შემსრულებელი იღებს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაუწიოს დამკვეთს ავტოამწით და ავტოთვითმცლელით მომსახურეობა.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებელს მოთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულება;

2.2 დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს „შემსრულებელს“ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული თანხა.

2.3 შემსრულებელი ვალდებულია ავტოამწე, და ავტოთვითმცლელი უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო რაოდენობის საწვავით.

2.4 შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულება.

2.5 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურეობის გაწევა დაიწყოს ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.

3. ხელშეკრულების თანხა და ანგარიშსწორების წესები

3.1 ხელშეკრულების შესაბამისად:

ავტოამწით მომსახურეობის ღირებულება შეადგენს დღეში 420.0 (ოთხასოცი) ლარს. დ.ღ.გ-ს ჩათვლით

ავტოთვითმცლელით მომსახურეობის ღირებულება შეადგენს დღეში 180.00 (ასოთხმოცი) ლარს. დ.ღ.გ-ს ჩათვლით

3.2 გაწეული მომსახურეობის ღირებულებას „დამკვეთი“ გადაუხდის „შემსრულებელს“ საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის თხუთმეტ რიცხვამდე შესრულებული სამუშაოს აქტის საფუძველზე.

4. პასუხისმგებლობა

4.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით და ამ

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და წესით. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 მაისამდე.

6. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

6.1 მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

6.1.1 აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას;

6.1.2 ხელშეკრულების ხელმოწერა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ და/ან არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას და/ან სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, სამოქალაქო მღელვარება, აგრეთვე მთავრობის მხრიდან ისეთი ნორმატიული ადმინისტრაციული შეზღუდვის დადგენა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ვალდებულების შესრულებაზე) ანუ კონკრეტულ პირობებში საგანგებო, გადაულახავი და გარდაუვალი მოქმედებებით;

7.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.

8. კონფიდენციალობა

8.1 ხელშეკრულების თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას და არ გაახმაუროს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინფორმაცია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9. დავების გადაწყვეტა

9.1 ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2 მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა მოლაპარაკების გზით გადაჭრილ იქნას ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან გამომდინარე;

9.3 მხარის პრეტენზია, მეორე მხარის მიერ განიხილება, მისი წერილობითი ფორმით მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში;

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ დავა განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დასკვნითი დებულებები

10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

10.2 ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი;

10.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან:

10.4 ხელშეკრულების „დანართები" წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, „დანართებში" ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის ხელმოწერის მომენტიდან.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსრულებელი"

შპს „მელიზა"
მის: ქ. ახალციხე, საფარის ქ. №3
ს/კ 424065549
საბანკო რეკვიზიტები:
სს. საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE31BG0000000887606900

„დამკვეთი"

აიპ „ახალციხის მელიორაცია"
მის: ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. №2
ს/კ 424068298

შპს „მელიზა"-ს სახელით

ხვიჩა ალავიძე

აიპ „ახალციხის მელიორაცია"-ს სახელით

ჯემალი გიორგაძე

შესრულებული სამუშაოს აქტი

ქ. ახალციხე 11 მაისი 2016წ.

წინამდებარე შესრულებული სამუშაოს აქტი ადასტურებს, რომ 2016 წლის 10 მაისს შ.პ.ს. "მელიზა"-მ აიპ „ახალციხის მელიორაცია"-ს გაუწია მომსახურება ავტოამწით სახ. ნომ MMA 920 1 მანქანა/დღე, და ავტოთვითმცლელით სახ. ნომ NKN 440 1 მანქანა/დღე.

ხელშეკრულება №10/05/16MEL საფუძველზე აღნიშნული მომსახურეობის ღირებულება შეადგენს 600.00 (ექვსასი) ლარს დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით

შპს „მელიზა"-ს სახელით:

ხვიჩა ალავიძე

აიპ „ახალციხის მელიორაცია"-ს სახელით:

ჯემალი გიორგაძე